



თეთრი ემალი - წყლის ბაზაზე

წყალდისპერსიული აკრილის თეთრი ემალი

თეთრი წყალდისპერსიული აკრილის ემალი რკინისა და ხისათვის. ხარისხიანი ზედაპირების შესაქმნელად. შიდა და გარე სამუშაოებისთვის



თეთრი

პროდუქტის აღწერა

შეფუთვის ზომები:

0,9ლ ; 2,5ლ

სიპრიალის ხარისხი:

პრიალა და აბრეშუმისებრი მქრქალი

დანიშნულება:

თეთრი აკრილის ემალი შესანიშნავი ფარვის უნარით. მედეგია შუქის მიმართ. ქმნის სრულყოფილ ზედაპირს, რომელიც ადვილად იწმინდება. გამოდგება ხის ფასადების შესაღებად. ხის ნაკეთობებისთვის და დაგრუნტული რკინისთვის. **არ გამოდგება იატაკების დასაფარად.** ქმნის ჯანმრთელ კლიმატს შენობის შიგნით. შიდა და გარე სამუშაოებისთვის.

ხელსაწყოები:

დაიტანეთ აკრილის ემალებისთვის განკუთვნილი ფუნჯით, ვორგოლაჭით ან მიფრევევის აპარატით. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები განმინდეთ წყლით და საშინით.

თვისებები:

პროდუქტი ქმნის ქათქათა თეთრ, პრიალა ან აბრეშუმისებრ მქრქალ, გაყვითლების მიმართ და ნაკანრების მიმართ მედეგ ზედაპირს. პრაქტიკულად არ წარმოქმნის არომატს წასმის და შრობის დროს. წყლის ბაზაზე. ადვილად დაიტანება, სწრაფად შრება და შესანიშნავად იწმინდება.

დატანის მეთოდები:

გამოყენების წინ პროდუქტი საფუძვლიანად ამოურიეთ. დაიტანეთ ემალი 2 ფენა. ფენებს შორის ტექნოლოგიური შესვენება: 8 საათი.

შესაფერისი ზედაპირები:

დაგრუნტული ან ლაქნასმული ხის, ლითონის, მყარი პოლივინილქლორიდის (PVC) ზედაპირები. საჭიროების შემთხვევაში: აგრეთვე მინერალური ზედაპირები, ცემენტის ბათქაშები, ბეტონი, გიფსოკარდონი, მინა-შპალერი.

ხარჯი:

დაახლ.100 მლ/მ² - ერთი ფენა ერთფეროვან ზედაპირზე. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანით.

ფერი / შეფერადება:

თეთრი; ფერადდება Alpina Tint-ის კოლორანტების საშუალებით (ხელით).

დაფარვის სტრუქტურა / გაზაფხა:

საგრუნტი ფენა:
Alpina Aqua Grundierung für Holz - გაუზაფხელი, ან
Alpina Grundierung für Holz - გაუზაფხელი, ან
Alpina Grundierung für Metall - გაუზაფხელი.
შუალედური და საბოლოო ფენა:
Alpina თეთრი ემალი - წყლის ბაზაზე - გაუზაფხელი.

შრობის დრო / გამოყენების პირობები:

+20°C ტემპერატურისა და 65% ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია 1-2 საათის შემდეგ, მსაათის შემდეგ შეიძლება შემდეგი ფენის დატანა. უფრო დაბალი ტემპერატურისა და ჰაერის მაღალი ტენიანობის შემთხვევაში ეს დრო იზრდება.

შემადგენლობა:

აკრილის კოპოლიმერის წყლის დისპერსია, კოპოლიმერი ვინილის აცეტატისა და ეთილენის საფუძველზე, ტიტანის დიოქსიდი, გლიკოლები (გლიკოლის ეთერები), მამოლიფიცირებადი დანამატები. ევროპული ნორმების მიხედვით, ამგვარ ნაწარმში აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია (კატ. A/d) არ უნდა აღემატებოდეს 130 გ/ლ. ეს ნაწარმი შეიცავს < 30 გ/ლ VOC-ს.



თეთრი ემალი - წყლის ბაზაზე

შესათვრისი ზედაპირები და ზედაპირის მომზადება

ზედაპირის მომზადება:

მთლიანად მოაცილეთ ატკეცილი ფრაგმენტები, ჭუჭყის ნალექი, ხავსი და წყალმცენარეები. განშენდის შემდეგ ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, მზიდუნარიანი და ანტიადჰეზიური ნივთიერებებისგან თავისუფალი.

ფოლადი/რკინის ზედაპირები:

ფოლადი/რკინის ზედაპირებს სრულფასოვნათ მოაპორეთ უნაგვი. მოაპორეთ ზედაპირს ჭუჭყი და გამყოფი ნივთიერებები (ცხიმი). დაგვრუნტეთ პროდუქტით: Alpina Grundierung für Metall.

ახალი ხის კონსტრუქციები:

უხეში ხის ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გასუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). ბასრი დაბოლოებები მოშორდეს. ხის ფისის შემცველი ხე ლაქების ნივთიერებებისგან გაუღინთეთ სპეციალური უნივერსალური ნიტრო გამხსნელით. გარე სამუშაოებისას ხე უნდა დაიგვრუნტოს პროდუქტებით: Alpina Aqua Grundierung für Holz ან Alpina Grundierung für Holz.

მყარი პოლივინილქლორიდის ზედაპირები (PVC):

გამლიფეთ - მქრქალ მდგომარეობამდე და მოაცილეთ მტვერი.

არამზიდი დანაფარები:

არამზიდი ლაქების და ემალების დანაფარები სრულად მოაპორეთ ზედაპირს.

ლაქით ან ემალით დაფარული მზიდი ზედაპირები:

პრიალა და ემალით დაფარული ზედაპირები გაშლიფეთ - მქრქალ მდგომარეობამდე და მოაცილეთ მტვერი. ნაუსვით Alpina თეთრი ემალი - წყლის ბაზაზე საცდელი ფენა, რათა შემოწმდეს თავსებადობა.

დაუმუშავებელი ძველი ხე:

განაცრისფრებული, გამოფიტული ზედაპირი დაუმუშავდეს ზუმფარის ქალაღლით, ჯანმრთელ, მზიდუნარიან მერქნამდე. გაიწმინდოს საფუძვლიანად. დაგვრუნტეთ Alpina Grundierung für Holz-ით ან Alpina Aqua Grundierung für Holz-ით.

ხის ნესტიანობა:

დაგვრუნტვის და შეღების დროს, ხის ნესტიანობა არ უნდა აღემატებოდეს: ფოთლოვანი ხე - 12% და წიწვოვანი ხე - 15%.

დამატებითი ინფორმაცია

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მუშაობისას იზრუნეთ სამუშაო სივრცის საფუძვლიან განიავებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გარეცხეთ წყლით. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი".

შენახვის პირობები:

შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში, გრილ, ყინვისაგან დაცულ ადგილას არანაკლებ +5°C და არა უმეტეს +20°C ტემპერატურაზე. ორიგინალურ შეფუთვაში პროდუქტი ვარგისია 24 თვის განმავლობაში.

უტილიზაცია:

საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

ტექნიკური ინფორმაცია № BY_100_WB 2018წლის მდგომარეობით

ეს ტექნიკური ინფორმაცია შედგენილია ტექნიკის უახლესი დონისა და ჩვენი გამოცდილების საფუძველზე. ზედაპირებისა და ობიექტური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მყიდველი/ მომხმარებელი ვალდებულია, ჩვენი მასალები მიზანშეწონილი დანიშნულების მხრივ შესაბამისი ობიექტის პირობებში შეამოწმოს. ხელახალი გამოცემის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.